

შსაზღვრელი სახელის შემანახება საზღვრელთან მკავლობით რისხვში

ძველ ქართულში მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად უპირატესად გამოყენებული იყო -ნ და -თ(ა) სუფიქსები. -ებ სუფიქსი მრავლობითის საწარმოებლად უფრო იშვიათად იხმარებოდა.

-ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითი არა მხოლოდ გამოყენების მხრივ სჭარბობდა -ებ სუფიქსიანს, არამედ სინტაქსური ძალითაც; კერძოდ -ნ და -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმული საზღვრული მსაზღვრელს ითანხმებდა რიცხვში, -ებ სუფიქსიან მრავლობითში დასმული საზღვრული კი — ვერა.

შემდგომ თანდათან -ებ სუფიქსიანი მრავლობითის ხმარების არე იზრდება, -ნ და -თ(ა) სუფიქსიანებისა კი მცირდება, იზღუდება და ახალ ქართულში უკვე გაბატონებულია მრავლობითის წარმოება -ებ სუფიქსით, იშვიათია -ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი ფორმები.

ამასთან, შესუსტდა -ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითის სინტაქსური ძალაც, სახელდობრ, ამგვარ მრავლობითში დასმული საზღვრული მეტწილად ვეღარ ითანხმებს მსაზღვრელს რიცხვში.

-ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითის ფორმათაგან დღესდღეობით პროდუქტიული დარჩა ნათესაობითი ბრუნვის ფორმები, მიცემითისა და მოთხრობითის, აგრეთვე სახელობითისა და წოდებითის ფორმები აქტუალური აღარაა თანამედროვე ქართულისათვის.

-თ(ა) სუფიქსიანი მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვის ფორმის შემცველი გამოთქმები ზოგჯერ ერთადერთიც კია თანამედროვე სალიტერატურო ენაში: საბჭოთა კავშირი; დედათა და ბავშვთა ოთახი; მოსწავლეთა არდადეგები; კომპოზიტორთა კავშირი; მშრომელთა დებუტატების საბჭო; ეროვნებათა საბჭო; მეცნიერებათა აკადემია; ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

რიცხვში შეთანხმება ყველგან დარღვეულია, მათ შორის ნათესაობით ბრუნვაშიც.

მე-19 საუკუნის მწერალთა ნაწერებში მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში დასმულ საზღვრულთან მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

ილია: აქა ყოფილა უწინ კრებული ღვთისთვის ქვეყნიდამ განდევნილ ძმათა.
გვეცნობენინა ჩვენ მკითხველთათვის.

აკაკი: ვინ შეამკოს ღირსეულად ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?
ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში, ქართველ ქალთა ვნახე კრება,

ვაჟა: საუნჯე ჩემის გულისა, ქართველ დედათა შვილები.
მოინდა ძველი დროების, გარდასრულ გმირთა ხსენება.

მთათგული, დაწყლულებული დახოცილ შვილთა მზერითა...
კვლავ ვიყო აღტყინებული, კეთილ ხმათ ხმებზე მწყობელი.

მსაზღვრეღი ფუძის სახითა წარმოდგენილი მიცემით ბრუნვაშიც:

ილია: [მთვარე] თვის მკრთალ სხივთა ჰყრის ქვეყანაზედ.

ბერს ევედრენ და არ გაჰყვა მეფე თავის ერთგულ ყმათა.

ვაჟა: ხელი წიფელი... ყურს არ ათხოვებს ამ ამაყ-მცენარეთ.

ღირსეულ შვილთა უთელავე სამშობლოს მინდორ-მთებია.

აკაკი: დაჩაგრულ მოძმეთ მიხედვ, სიცოცხლე გაიშვარეო.

უსულს საგანთ მინც შესჩივლე.

მაგრამ მიცემითში მსაზღვრელს იშვილად ბრუნვის ნიშანიც დაერთვის:

ქარგს ყმათ საკარგუმოს ასმევენ (ვაჟა).

სახელობითში რიცხვში შეთანხმება არაა, მსაზღვრელი მხოლოებით რიცხვშია.

წარმოდგენილი:

პირდაპირი წყობა

ილია: მეწვივნენ იგი უცხო ხილვანი.

მაგრამ კითქვენი მრუდე საქმენი ისევ ისევე მრუდედ დარჩება.

ასეთი შემთხვევები ჯერ კიდევ დ. გურამიშვილთან ვვაქვს:

დაცაივიწყეს მათ მისი ურიცხვი მოწყალე ბანი.

მოიღეთ წმინდა ქურჭელნი.

შებრუნებული წყობა

აკაკი: ბევრჯერ ვნახო დღენი ტკბილი.

მაგრამ მე-19 საუკუნის მწერალთა ნაწერებში შეთანხმების შემთხვევები ჯერ კიდევ ხშირია.

სახელობითი ბრუნვა

პრეპოზიციური წყობა

ილია: მართ ერთნი სირინოზნი იმ აკვანს ვარს ეხვევიან.

მამ რისთვის გამოზრდნდებიან ხოლმე ამ გვარნი პირნი სცენაზედ?

გამოვედით ორნი ობოლნი იმ ტრიალ დედაშიწაზედ.

ვაჟა: ჰოი, შენი, ჰირიმე, რო დავხედე, ბიჭო! — ეუბნებოდენ თავს შეზარხოშებულნი ფრინველნი.

ამას იძახდენ სტუმრად მოწყვეტლნი ფრინველნი

სუდარჩაცმულნი მთანი ღვანან.

აკაკი: და მცილებელთა შავნი საქმენი ფერს ვერ უცვლიან თეთრსა ხუდარსა..

პოსტპოზიციური წყობა

ილია: დამას ფოთოლნიც მოშრიალენი ხშირად უფროხობდნენ მოსვენებასა.

მოედრიენა მუხლნი ძლიერნი.

ვაჟა: „მთანი მალაღნი“.

ვან მოშორებით დამდგარან დიაცნი მანდილიანნი.

ვაჟაკანი იმედიანნი ჩვენს ბატონს ებეღებისა.

აკაკი: სიმნი მკვნესარნი სამარის ხმითა ზედ დასტირან რალაც საგანსა.

მოთხოვნი ბრუნვა

პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ილია: კვლავ განიღვიძეს ჩვეულთა ფიქრთა.

აგერა მცხეთაც..., სად პირველ ქართლის მორკმულთა შვილთა ღრმად
ჩარგეს ძირი თავისუფლების.

პ ო ს ტ პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ვაჟა: სამოთხის უერი დაიდევს არე-მარეთა ტყიანთა.

მიცემითი ბრუნვა

პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ილია: ტრელთა ენათა ერიდეთ.

პოვოსკაში ქვებზედ ხათქა-ხუთქი უკეთესთა ფიქრთა დამიბნედა ხოლმე.

ვაჟა: [მთებო], რად აღენთ ცივთა წყაროთა? რად ზრდით ლალთა ხარჯიხვთა?
ჯარად დამსხდართა ხევსურთა თავზედ წაადგა ბალუბი.

პ ო ს ტ პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ილია: [მზემ] კავკასის მთების წვერთა მაღალთა ზედ გადაჰვინა ოქროს ნათელი.

ვაჟა: [არწივი] დასდევნებიყო მდევრადა წეროთა გადმოშავალთა.

ნათესაობითი ბრუნვა

პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ილია: სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა.

ესლა თვითვე, გვეონია, დარწმუნდნენ, რომ არამც თუ პუშკინის და ლერმონტოვის
თარგმნა შეეძლოს, არამედ კაზლოვისაცა და სხვათა უფრო მდარეთა რით-
მის მბეჭველთა პოეტთა.

ვაჟა: მცოდნება კეკელუცთ თვალთ ხედვა.

ჯაშე-მუზარადით მორთულნი წარსულთა: დროთა ქართველნი.

აკაკი: [სიმებმა] მომცეს წარსულთა დროთ მოგონება.

[მლინარეს] მსურს გაგლეჯა კლდოვანთ კიდეთა.

პ ო ს ტ პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ილია: მეც ვგრე ვარ, როგორც მხედვეთ, ორატორთა კარგთა სწორი.

ოცჯერ ზოკვა, ერთხელ ჭრაო—წესია მეფეთ ქებულთა.

ვაჟა: [ხევსურებმა] თან გადიყოლენ მზის სხივი შუბისა წვერთა მბრჭვენათა.

• მიმართვის ფორმა

პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ვაჟა: რაც ჩვენ არ ვიცით, ძვირფასნო ყმანო, ის დაწერილებით ცაში იციან.

პ ო ს ტ პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ვაჟა: მთანო მაღალნო, ბარად იქეცით.

არის შემთხვევები, როდესაც საზღვრულს ორი მსაზღვრელი ახლავს, რომელ-
თაგან ერთი წინ უძღვის, ხოლო მეორე მოსდევს, ან ორივე მოსდევს. ასეთ შემ-
თხვევებში კლასიკოსთა ნაწერებში მსაზღვრელ-საზღვრული შეთანხმებულია რი-
ცხეში.

ილია: შორნი მნათობნი მოკამქამენი იმ მწუხარს ღამეს მზიარულობდნენ.

თვალწინ მიყრიან უკეთესნი ყვავეილნი მჭკნარნი.

ვაჟა: დასალნი კლდენი, პირქუშნი, უფსკრულს ჩასულნი ფესვითა.

მსყვანილი ნიმუშები ცხადყოფს, რომ XIX ს. სალიტერატურო ენაში -ნ და -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულთან მსაზღვრელის რიცხვში შეთანხმების შემთხვევები ჯერ კიდევ ხშირია, მაგრამ შეთანხმების ეს წესი უკვე საკმაოდ შერყეულია და, არც თუ იშვიათად გვაქვს შეუთანხმებლობის შემთხვევები. შემთხვევითი არ არის, რომ შეთანხმება უფრო ხშირად გვხვდება ლექსში, ნაკლებ — პროზაში. ამდენად, ასეთი ფორმებისტილისტიკური მოთხოვნის გამოწვეული ჩანს, არქაული ფორმების, როგორც სტილისტიკური ხერხის, გამოყენების შედეგია ხშირად. ვაქასთან ასეთი ფორმების სიუხვე კი დიალექტის გავლენით უნდა აიხსნას.

ამ ვარაუდს შეიძლება მხარი დაუჭიროს ერთმა ფაქტმა: XIX საუკუნის (იშვიათად თანამედროვე) მწერლები ზოგჯერ ცდილობენ -ებ სუფიქსიან მრავლობითში დასმულ საზღვრულსაც შეუთანხმონ მსაზღვრელი, რაც ძველი ქართულისთვისაც კი უცხოა. ასეთ შემთხვევაში -ებ სუფიქსიან მრავლობითში დასმულ საზღვრულთან -ნ და თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითით გაფორმებული მსაზღვრელი გვაქვს.

ილია: და და ლ უ ლ ნ ი მ ე უ რ მ ე ე ბ ი დაყარნენ და ძილს მიეცნენ.

ძირს მილაგებულნი ფიქრები მალა მოქცნენ.

აი, ეს უპირატესნი ვარსკვლავები რუსის ლიტერატურისა.

აკაკი: მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ, ქვესენელი — საფლავს და ძველებს გამხმარათა.

თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე მ წ ე რ ა ლ თ ა გ ა ნ

ი. აბაშიძე: ხვეისბერებივით ჩამოსხდარან მთები ქვიანნი.

ო. სულაბერიძე: რად არ აკვებებ თვალებს ჭკვიანთა.

ეს მაგალითები იმაზე მიუთითებს, რომ -ნ და -თ(ა) სუფიქსებიან საზღვრულთან მსაზღვრელის შეთანხმების ძველი წესი უკვე შერყეულია.

თანამედროვე სალიტერატურო ენაში კიდევ უფრო შეიზღუდა -ნ — თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითის ხმარება და კიდევ უფრო იშვიათი გახდა შეთანხმების შემთხვევები.

რამდენიმე შემთხვევა მაინც გვაქვს:

პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

მფრინავი ხარ, მალალთა კლდეთა გადამლახველი (გ. აბაშ).

[ციხე] კვლავ ისმენს, ძველთა ველთა ნიაჲ-ქარის ნანას (ლ. აბაშ).

ჩვენ წინაპართა ნაშთთ სანახავად დაქრწოდათ ტყე-ღრედ (ი. გრიშ.).

პ ო ს ტ პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

რბოდა ველად და ცრემლთა მდუღართა ღვრიდა მრავალი მისი მნახველი (გ. აბაშ).

ასეთი ნიმუშები ახლა მხოლოდ აქა-იქ გვხვდება. ჩვეულებრივ -ნ და -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმული საზღვრული ველარ ითანხმებს მსაზღვრელს რიცხვში.

სახელობითი

პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

გ. ლლონიძე: იმ ცრემლებს შეუტრფია ქართლის ცივ-ტკბილი წყარონი, და თუ ლექსში სჩქედს მარად მშვენებით სიცოცხლის ძალთა ტკბილი ძღერანი.

მის. ჭავჭავიძე: [ალექსანდრე] იბრაჰიმი და ყოველ შემოტევაზე ისეთივე ლტოლვილი ი
და განდევნილი მადრიდელი მოქაედია, როგორც თითონ იყო.

გ. აბაშიძე: პატარა ტბები დგანან უძრავად იმ დიად დღეთა მუნჯი მოწმენი,
ახლაც ფრესკიდან გვიყურებს მკაცრად ცეცხლ-მოღებული მისი გუგანი,
ფეხდაუდგამი და ხელუხლები ხრამნი რომ ჩანდნენ, როგორც ქვე-
ვრები.

ი. აბაშიძე: არც თუ ისეთი მდევნი ყოფილან.
მოიჭრენ ბარში მთიულთ მდევნი.

მის. მრევლიშვილი: უბნებად ჩამოსხდარი კოლმეურნი აღარ აკლიდნენ ერთ-
მანეთს ლაპარაკს.
შეზარხოშებული თანამესაუბრენი მორიგ ჭამს სვამდნენ.

პოსტპოზიციური წყობა

ა. მირცხულავა: ბალში აღარ შრიალბენ ხენი ფოთლებშემოკლილი.
ბ. ვარდოშვილი: მონობის დღენი, მკაცრი და ბნელი, ზიზღით განთებდა უშიშარს,
მარად.

მოთხრობითი

პრეპოზიციური წყობა

გ. ლეონიძე: ცხრა ძმათ მეთედ მიიღეს.

მიცემითი

პრეპოზიციური წყობა

მ. ჭავჭავიძე: ახალციხელ ქართულ კათოლიკეთა შორის თამარანთ გვარი ყველ-
ლაზე განთლებული და შეძლებული იყო.

გ. ლეონიძე: შენ დამიწიფე სიტყვები, ვით ხეს გასული მტევნები, შენი, შენდამი, შენს შექ-
თა, შენს ციმციმს მსადღვენები.

ა. აბაშელი: მჭკნარ ფოთოლივით რად დანებდი გაფრენილ დღეთა?
[ვარსკლავი] ცეცხლად იქცა და წინწყლებად ცის თეთრ ყვავილთ დაესხურა.

ი. ნინოშვილი: ხიდის გადება სამ ძმათა შორის ოცნებად გქონდა.

ნათესაობითი

პრეპოზიციური წყობა

მ. ჭავჭავიძე: იქვე მახლობლად ახალ ნათარეშებს — ქართულ ტყვეთა ფარას ქუ-
დიან.

გ. ლეონიძე: მარად ბრწყინავს სამშობლო — დიდ შევილთა მუკავანე,
[შეხარი] ახალ სართულთა წითელ აგურებს,
ეს ლექსია, თუ მღერის გავლილ დღეთა კრებელი?
თქვენი ჭრილობის წვეთ-წვეთი ძველ გმირთ სისხლს შეერთებია,
გაშაღე... ყველა ფურცელი არის ფოლადის ნაყარი, დამსხვრეულ ხმალთა
ფორიალი, დეკაცთა ნამაყარი.

აღ. აბაშელი: რკინის ზრიალში გამოკრთის ხშირად რეკა ქართულად მოქნეულ ხმალთა,
გესმის გუგუნი გარდასულ ქამთა,
ლამე გამოვლილს ზურგს უკან დარჩა ბნელი მანძილი შორ ქვეყანათა.
მფთე ქაე სხივთა შადრევაშა შუა გააპო სივრცე ცისა.

სიკოცხლუჯერ კიდევ მინდა და მრავალ დღეთა მოიმედე ვარ,

ი. აბაშიძე: იყავ დღეგრძელი, შენ — ჩვენი მკერდი, ბედნიერ დღეთა გამომკვეთელი.
გ. აბაშიძე: შმაგ მდინარეთა ბრუნვა მარჯარებს,
ხმა მესმის ცხენით გათქერილ ყრმათა.

ლ. ახათიანი: სუნთქვა მძინარე რაინდთა აბიზინება ბალახსა.

ქ. კალაძე: მთებს ზეტიალი აჩნით ზღვისა, ვით მოგონება უხსოვარ ქამთა.
თანამედროვე მწერლობაში — ებ სუფიქსიან მრავლობითში დასმულ საზღვრუ-
ლთან შეთანხმებული მსაზღვრელი გვხვდება (პოსტპოზიციური წყობისას).

ა. აბაშიძე: მისი შარები დაქარგულები.

ბუტბუტებენ ქვეები მწველები.

დროშებს ფრთიანებს მოედანზე წითლად გადაშლილს.

მღრ. ვაჟა: შევამე მთები მალღები.

[მღევემა] მომპარეს გამშავებული თვლები შხამიანები.

და გაუწოდეს ყანწითურ მკლავები ტოტიანები.

ასეთი შემთხვევები მხოლოდ პოეზიის ენაში გვხვდება.

-ნ და -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულთან მსაზღვრელი მხოლოდ შეუთანხმებელი ფორმით გვხვდება ჩვენს პრესაში:

„კომუნისტი“: უმაღლესი საბჭოს ტრიბუნიდან გაკეთდა... თვალსაჩინო წარმატებათა დიდი და პრინციპული განზოგადებანი.

მეცნიერულ და კულტურულ ფასეულობათა გაცლა.

გავითვალისწინოთ თითოეული რესპუბლიკის ეროვნული თავისებურებანი და სპეციფიკა.

შეიქმნა რეალური შესაძლებლობანი მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

„აბ. კომუნისტი“: ნორჩ კიეველთა სტუპრები,

ამ გვარ გმირთა უკვდავ პლეადას ეკუთვნიან ბახტრიონის სახელოვანი სარდლები.

ვერუსხმობთ ქართველ ეროვნულ გმირთა სახელებს.

„სახალხო განათლება“: ჩამორჩენილ მოსწავლეთა მშობლები მუშაობენ.

როგორ შეიძლება ორცვლიან მეცადინეობასთან დაკავშირებულ სიძნელეთა გადალახვა?

დაეუბრუნოთ შენობები კანონიერ მფლობელთ!

შეთანხება აღარაა საყოველთაოდ გავრცელებულ შესიტყვებებში, როგორცაა, მაგალითად: მოზარდ მსაჯურებელთა თეატრი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, არითმეტიკულ ამოცანათა კრებული, ნორჩ ნატურალისტთა განყოფილება, ნორჩ მათემატიკოსთა საქალაქო ოლიმპიადა.

საგანგებოდ უნდა გამოიყოს ისეთი შემთხვევები, როდესაც ნათესაობითში დასმული ან ნანათესაობითარი მსაზღვრელი გვაქვს.

ასეთი მსაზღვრელი შეიძლება იყოს მხოლოდობით რიცხვში ან მრავლობით რიცხვში (განთიადის დღენი, სამშობლოს ქვიშანი, მთების ასულნი).

როდესაც მართული მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს, შეთანხმება არ შეიძლება გვექონდეს.

საზღვრული სახელობითშია:

ილია: ჩემი განთიადის დღენი ბატონის სახლი დაშიამება.

აკაკი: ქვეყნის მკურნალნიც შემოკრბენ, ევლარ მარგებენ რაქსა.

ვაჟა: ჩემის სამშობლოს ქვიშანი ხშირ-ხშირად მომპაროდი.

შენი ერისა ქაბუკნი გაპზორებენ ხელზედა.

სიყრმისა დღენი წაიღენ.

საზღვრული მიცემითშია:

ვაჟა: ლამაზი მთების ასულთა ხმა ხმისთვის შაუწონია.

ვარსკვლავნი მთის წვერთ სწევიან.

„აბ. კომუნისტი“: ნორვეგიის, შოტლანდიისა და დანიის სანაპიროების მცხოვრებთ ხშირად უნახავთ ასეთი წვიმა.

საზღვრული ნათესაობითშია:

ვაჟა: მშვიდობა შენს ნეშტს, მგოსანო, ქართლისა წყულულთა მოზარე!

პრესა: იზრდება და მტკიცდება მშვიდობის მოპრეთა მოძრაობა... ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ (აბ. კომ.).

მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება („კომ.“).

რაც შეეხება პოსტპოზიციურ წყობას, დღეს უკვე საზღვრული ჩვეულებრივ არ ითაინხმებს ნანათესაობითარ მსაზღვრელს.

ვაფ: არიანამ ყვეაერლინი მოტბიანი.

შტორაჟი დეფია მოსაზრებაჲ მოიბატეჲ მითობნი ცხის

ჩვენი. მსხვერპლნი ძალმოპარობის, ცუქლა აღარ ვღერიდეთ მწარეა.

მაგრამ იმეათად, აქაიქ ახალ მწერლობაშიც გვხვდება მომღვერო მართული მსაზღვრელიან შეთანხმება:

ვაფ: ის ლაღნი ძენი კლდეთანი უკვეჲ გულეჲს წინაა.

საყრდელა აქვედებიან შვერდნიც კი ხელის კლდეთანი.

უვალად პარს ეყიწნისან კუხნი ნამცურეჲნი უკანნი.

თუ დამეყის მე რაჲ, იმღნი ძრისხვედუ ღვეთისანი.

ძალნი ცხისანი, გვიწველთ

ასეთი შემთხვევები ან სტილისტიკურ არქაიზნად, ან კიდევ დიალექტიზმად უნდა მივიჩნიოთ.

როდესაც კუთვნილებითი ნაკვალსახელი გვაქვს მსაზღვრელად, რიცხვში შეთანხმება არ არის სახელობისა და წოდებითნი. მსაზღვრელა მრუნენის ნიშანი აქვს ზოგჯერ მიეკმითნიც. ნათესაობითნი მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოღვენილი.

ვაფ: ჩვენ ვართ, ერკლეჲ, შენი ჩვესურნი.

მოხსნიდეთ შენი მოძვენი შენი სიძრის კარხი.

მინს აქვალთ წაველიან პირთა.

პირნათლად შეგ სულთს, სადუ იმის წინაპარნი.

ვაფ: საბრალი გულთ, ღრია ვამოქვე დღეს თავიყულად შენი ტინჯვანი.

შენი სახე მიაბე ჩემ აქვალთ წინ არი.

მ. ნინეშვილი: დაცხებით ამოიკებუნენ მისი მიმდევარნიც.

მაგრამ არც თუ იმეათად (მით უმეტეს XIX ს. მწერლობაში) გვხვდება შეთანხმება პირდაპირ წყობაშიც და შებრუნებულშიც:

პ რ ე პ ო ზ ი ც ი ე რ ი წ ყ ო ბ ა

ილია: შენთა შეილო გული შენთა მტერთა შეკლეა ზედა.

შენთა შევალთ სახლო გული სრულად ვირდამენინა.

ნგრეულან პარს დიდნი პილატნი.

და ერს თვისთა ცრემლო მღვნიან ტბა კარვად ზედ გადებურავს.

ვაფ: ტუთილი ამოთადებიან ჩვენნი წაწილნი იანი.

ჩვენთ ძმათ ცხოვნებ.

სა ლამზთა, წყულო, შენთ შეართთა ღიღნი ჩვენისანი.

ეჲ შენთა მოძვეთ სიხლია.

მ. ნინეშვილი: შენთა, დამე შენთა თვალთა შექთა თენდება.

ასეთი შემთხვევებიც ან სტილისტიკური არქაიზმებია, ან კიდევ დიალექტიზმები.

პ ო ს ტ პ ო ზ ი ც ი ე რ ი წ ყ ო ბ ა

ილია: შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მტერებია.

მე, სად არიან, სიძნევეჲ. სიტკობნი შენნი.

ვაფ: რომ ბინდი დღეთა ჩემთა სიყველის მინდის.

წარტლილთა დღეთა შენთა მხსოვს ღიღამუღუბი.

ვაფ: სხეულა შენთა ეგვიპტლო.

მ. ნინეშვილი: არ ეწეხილდა სპათა შენთა მტერთი წინა.

შებრუნებული წყობა პოეზიის ენაში გვხვდება უპირატესად.

-6 და -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულთან მსაზღვრელის შეთანხმება რიცხვში, რაც ძველ ქართულში ესოდენ მტკიცე წესს ემორჩილებოდა, თანდათან ირღვეოდა. მე-19 საუკუნის მწერალთა ენაში ეს წესი უკვე დარღვეულია. შეთანხმება შეიძლება იყოს და შეიძლება არც იყოს. შეთანხმების შემთხვევები ჰარბობს ლექსში.

ამ დროიდან შეთანხმების მოშლის პროცესი კიდევ უფრო ძლიერდება და თანამედროვე სალიტერატურო ენაში გაბატონებულია ასეთ საზღვრულთან მსაზღვრელის შეუთანხმებლობა რიცხვში.

მოვლენის განვითარების ისტორიაცა და თანამედროვე ვითარებაც გვიყარნახებს თანამედროვე სალიტერატურო ენისათვის დადგინდეს შემდეგი წესები:

1. პირდაპირი წყობისას (მსაზღვრელი+საზღვრული) -6 და -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს მსაზღვრელი რიცხვში არ შეეთანხმება. სახელობითში და მიმართვის ფორმაში მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნებს დაირთავს, დანარჩენ ბრუნვებში ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი.

სახელობითი	მაღალი მთანი	
წოდებითი (მიმართვის ფორმა)		მაღალ მთანო
მოთხრობითი	}	მაღალ მთათა
მიცემითი		
ნათესაობითი		

2. ამათვე მიეკედლება ის შემთხვევები, როცა მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელება გამოყენებული. ოღონდ ამ შემთხვევაში მიცემითში დასაშვებად შეიძლება იქნეს მიჩნეული ფორმა, სადაც მსაზღვრელი ბრუნვის ნიშანს დაირთავს.

სახელობითი	ჩვენი მოძმენი
წოდებითი (მიმართვის ფორმა)	ჩვენო მოძმენო
მოთხრობითი	ჩვენ მოძმეთ
მიცემითი	ჩვენ მოძმეთ ჩვენს მოძმეთ
ნათესაობითი	ჩვენ მოძმეთ

3. შებრუნებული წყობისას (საზღვრული+მსაზღვრელი) მსაზღვრელი საზღვრულს რიცხვში შეეთანხმება. ეგვივე წესი გავრცელდება იმ შემთხვევებზედაც, როდესაც მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელება გამოყენებული.

სახელობითი	მთანი მაღალნი	მოძმენი ჩვენნი
წოდებითი (მიმართვის ფორმა)	მთანო მაღალნო	მოძმენო ჩვენნო
მოთხრობითი	}	მთათა მაღალთა მოძმეთა ჩვენთა
მიცემითი		
ნათესაობითი		

სახელობითსა და წოდებითში (მიმართვის ფორმაში) პარალელურად შეიძლება შეუთანხმებელი მსაზღვრელიც იქნეს დატოვებული: მთანი მაღალი, მთა-
ნო მაღალო.

3. ნათესაობით ბრუნვაში დასმული და ნანათესაობითარი მსაზღვრელი საზღვრულს რიცხვში არ შეეთანხმება.

სახელობითი	მთის ყვავილნი	ყვავილნი მთისა
წოდებითი (მიმართვის ფორმა)	მთის ყვავილნო	ყვავილნო მთისა
მოთხრობითი	}	მთის ყვავილთა ყვავილთა მთისა
მიცემითი		
ნათესაობითი		

დასახელებული ფორმები უპირატესად მწერლობის (უმთავრესად პოეზიის) ენაში შეიძლება შეგვხვდეს და გამართლებულია სტილისტიკური მიზნებით. სალიტერატურო ენაში ჩვეულებრივ ხმარებული მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ფორმებია.